

**სახაზინო სამსახურის**  
**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**  
**საქართველოს 2018 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის**  
**შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი**  
**საღდოს შესახებ**

**სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები**

საქართველოს 2018 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 2 969 491.3 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 2 635 060.2 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 33 222.5 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 5 403.8 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 295 804.8 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-მარტში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (2 635 060.2 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (2 427 049.7 ათასი ლარი) 108.6%;

– გადასახადების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 236 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 2 380 010.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 106.4%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 930 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 952 210.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 102.4%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 695 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 716 540.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 103.1%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ (235 669.7 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (235 000.0 ათასი ლარი) 100.3%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 7.9 ათასი ლარი.

– პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 1 332 500.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 370 027.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 102.8%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 004 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 064 712.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 106%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 305 314.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (328 500.0 ათასი ლარი) 92.9%-ია;

– პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 14 500.0

ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 18 979.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 130.9%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-მარტში შეადგინა 38 785.9 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 127 848.7 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 187 890.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 147%-ია; მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 23 520.6 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 137 680.1 ათასი ლარი;

– „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავის, 34-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი – 14 561.2 ათასი ლარი მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 2 127.9 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 10 001.0 ათასი ლარი (მათ შორის, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 2.9 ათასი ლარი).

„სხვა შემოსავლების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 63 201.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 67 158.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 106.3%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 207.3 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2018 წლის იანვარ-მარტში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (33 222.5 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (11 200.0 ათასი ლარი) 296.6%;

მათ შორის:

- შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (31 098.7 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (10 000.0 ათასი ლარი) 311%;
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (2 123.6 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (1 200.0 ათასი ლარი) 177%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 976.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 395.3%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 147.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (700.0 ათასი ლარი) 21%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 5 403.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (4 000.0 ათასი ლარი) 135.1%-ია.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 295 804.8 ათასი ლარი (რაც საპროგნოზო მოცულობის – 306 264.0 ათასი ლარის 96.6%-ია);

მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – -7 590.3 ათასი ლარი;
- საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 303 395.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (317 012.0 ათასი ლარი) 95.7%-ია; მათ შორის:
- საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები - 116 477.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (137 012.0 ათასი ლარი) 85%-ია; მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 59 832.8 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 56 644.3 ათასი ლარი.

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 186 918.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (180 000.0 ათასი ლარი) 103.8%-ია.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 10 290.1 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და

პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, ხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2018 წლის იანვარ-მარტში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 880.6 ათასი ლარი.

### სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 557 972.6 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 557 888.8 ათასი ლარი ; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 83.8 ათასი ლარი („დაცული ტერიტორიების განვითარება“ (გრანტი).

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 აპრილისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 897 208.2 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 897 150.6 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 57.5 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად, სულ 135 002.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსდა კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301-ე დადგენილების „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“, თანახმად, ხაზინის განკარგულებაში არსებული სახსრებიდან, 650 000.0 ათასი ლარი განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 339 235.6 ათასი ლარი.

### სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2018 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 2 635 060.2 ათასი ლარის მოცულობით (პირველი კვარტლის გეგმა 2 427 049.7 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 2 093 765.6 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა 2 230 908.3 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 541 294.6 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმა 196 141.4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 277 394.6 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით 33 222.5 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 310 617.1 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა 263 900.0 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმა -129 971.1 ათასი ლარი (უარყოფითი).

### სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის 28 დეკემბრის №481 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 2 799 877.8 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 2 634 067.1 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 165 810.7 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 2 674 422.9 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 630 255.7 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 2 484 836.0 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 145 419.7 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 98.3%, ხოლო გეგმის 93.9%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2018 წლის იანვარ-მარტის მთლიან ხარჯებში შეადგინა 94.5%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 5.5%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური

ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-მარტში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 342 426.1 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 330 748.3 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 322 356.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.5%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 94.1%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 307 547.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 272 133.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 257 593.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 94.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 83.8%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 129 800.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 129 699.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 128 435.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.9% და ვალდებულების 99%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 82 378.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (82 399.4 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 46 057.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (47 300.0 ათასი ლარი) 97.4%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 109 331.6 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 95 245.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ 93 879.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.6%-ს და გეგმის 85.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 14 700.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 14 700.0 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 100%ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 245 002.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 231 899.8 ათასი

ლარი, რაც ვალდებულების (234 551.7 ათასი ლარი) 98.9% და საგეგმო მაჩვენებლის 94.7%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2018 წლის იანვარ-მარტში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 212 011.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (212 387.0 ათასი ლარი) 99.8%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2018 წლის იანვარ-მარტში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 832 235.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (840 706.5 ათასი ლარი) 99% და საგეგმო პარამეტრის ( 853 220.8 ათასი ლარი) 97.5%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 610 342.6 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 601 505.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.6%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 425 896.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 99.6%-ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 164 778.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 160 351.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.3% და ვალდებულების (164 465.4 ათასი ლარი) 97.5%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 229 799.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 219 645.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.6% და ვალდებულების (219 784.9 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 243 579.3 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 230 525.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 227 364.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.6%-ს და გეგმის 93.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 146 616.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 146 467.5 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (145 616.7 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 337 312.5 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 312 862.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 310 617.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.3%-ს და გეგმის 92.1%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 119 061.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 109 347.5 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (108 912.2 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.6% და საგეგმო მაჩვენებლის – 91.5%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“, 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 49 975.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 46 268.2 ათასი ლარი,

მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 45 768.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.9%-ს და გეგმის 91.6%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 181 682.0 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 181 682.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 180 104.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 99.1%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 175 022.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (176 600.0 ათასი ლარი) 99.1%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 5 082.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (5 082.0 ათასი ლარი) 100%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა („აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“) – 396.6 ათასი ლარი.

„სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2018 წლის პირველი აპრილისთვის შეადგინა 496.4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში**

2018 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 2 404 382.7 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 436 457.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (467 407.6 ათასი ლარი) 93.4%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 79 700.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (95 282.0 ათასი ლარი) 83.6% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო

მომსახურების ხარჯების 18.3%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 129 811.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (132 710.2 ათასი ლარი) 97.8% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 29.7%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 268 881.9 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 237 918.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (2 404 382.7 ათასი ლარი) 9.9%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 262 353.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 241 004.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 132 906.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (141 261.5 ათასი ლარი) 94.1%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (26 855.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (31 601.5 ათასი ლარი) 85%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 30 693.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (31 811.0 ათასი ლარი) 96.5%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 273 314.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 243 826.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89.2%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (11 110.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (12 852.4 ათასი ლარი) 86.4%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (35 685.7 ათასი ლარი), გეგმის (37 133.0 ათასი ლარი) 96.1% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 158 985.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 151 794.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.5%.

გარემოს დაცვის ხაზით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 18 133.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 14 509.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 80%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 6 382.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 544.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.9%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 1 134.5 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 996.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.8%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 262 103.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 248 455.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.3%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 191 667.4 ათასი ლარის გამოყოფა,

საკასო ხარჯმა (190 670.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 99.5%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (35 740.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (39 722.5 ათასი ლარი) 90%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 7 980.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (10 629.4 ათასი ლარი) 75.1%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 69 257.6 ათასი ლარით, რაც 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის (81 947.8 ათასი ლარი) 84.5%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 15 924.2 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (14 676.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 92.2%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულ იყო 278 730.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 270 389.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.2%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 148 275.1 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (148 519.5 ათასი ლარი) 99.8%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 41 003.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 126.1 ათასი ლარი) 97.3%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრული იყო 648 966.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 637 019.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26.5%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 434 816.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 433 204.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.6%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 163 487.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (169 006.6 ათასი ლარი) 96.7%-ია.

## საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდახუთ შემთხვევაში შეადგინა სულ 1 570.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 633.9 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2018 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შეადგინა 936.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შვიდ შემთხვევაში შეადგინა სულ 6 202.1 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 3 809.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 აპრილისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 2 392.2 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

### **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორ შემთხვევაში შეადგინა სულ 6 400.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2 913.0 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 აპრილისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 3 487.0 ათასი ლარი.

### **წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა**

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 15 588.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 40 316.4 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად განისაზღვრა 12 588.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 12 532.9 ათასი ლარი, („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა - 12 532.9 ათასი ლარი), წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 000.0 ათასი ლარი. აქედან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 51.8 ათასი ლარი( საკასო ხარჯი – 51.8 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 2 948.2 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 1 413.9 ათასი ლარი).

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა,

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად საკასო ხარჯმა შეადგინა 26 317.8 ათასი ლარი, მათ შორის, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა – 1 385.8 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 1 413.9 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2018 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.